საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/17

ქ.თბილისი

"02" ივნისი 2016 წ.

საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს N9 დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-8 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე მონიტორინგის მიზნით შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი:

1.1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (შემდგომში - „კომისია") დასაქმებულ შემდეგ პირთაგან, კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსის - ივანე მახარაძის ხელმძღვანელობით:

ა) მარიამ არუშიძე - მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ბ) ვერა შუღლიაშვილი - მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;
გ) კონსტანტინე ქორიძე - მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;
დ) ზურაბ კვირკველია - მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;
ე) იოსებ ბაღაშვილი – მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;
ვ) თამარ ჯოგიაშვილი – მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის სპეციალისტი;
ზ) ნინო ჩიქოვანი – მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;
თ) ლალი გვერდწითელი – მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის სპეციალისტი;
ი) თეონა კიკნაძე – კომისიის თავმჯდომარის მდივანი;
კ) თამარ ხახანაშვილი – კომისიის წევრის მდივანი;
ლ) ხატია ყურაშვილი – კომისიის პრესს–მდივანი;
მ) რუსუდან ჭაბუკიანი – კომისიის წევრის მდივანი;
ნ) ალექსი ყანჩაველი - ადმინისტრაციული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი
ო) თამარ პოპიაშვილი - კომისიის თავმჯდომარის მდივანი
პ) თამარ მელიქიძე - კომისიის მოწვეული შტატგარეშე სპეციალისტი

1.2. კომისიის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეულ შემდეგ პირთაგან:

ა) ნინო დევიძე
ბ) მარიამ გუგულაშვილი
გ) ნინო დანელია
დ) თეა ბებუა

ე) ლიკა ხარხელაური
ვ) გვანცა მოსიაშვილი
ზ) ქრისტინა ავალიანი
თ) გიორგი კოხტაშვილი
ი) ზურა კობერიძე
კ) მარინა კუტუბიძე
ლ) ნიკა დუდაშვილი
მ) მარიამი ბოჭორიშვილი
ნ) წინო ვარძელაშვილი
ო) ირაკლი გულორდავა
პ) მერი ბარაბაძე
ჟ) მარტა ქურასბედიანი

2. უზრუნველყონ ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულმა პირებმა, წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს N9 დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის" მე-8 მუხლის შესაბამისად;

3. მიენიჭოთ ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებს - ივანე მახარაძეს, მარიამ არუშიძეს, ვერა შუღლიაშვილს, კონსტანტინე ქორიძეს, ზურაბ კვირკველიას და იოსებ ბაღაშვილს:
ა) შემოწმების აქტის შედგენის უფლებამოსილება, რა დროსაც უნდა იხელმძღვანელონ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის შესაბამისად;
ბ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება, რა დროსაც უნდა იხელმძღვანელონ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 37-ე მუხლის შესაბამისად;

4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2016 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების (მათ შორის საჭიროების შემთხვევაში მეორე ტურის შედეგების) შეჯამებამდე;

5. ამ ბრძანების პირველი პუნქტის 1.1. ქვეპუნქტის ი), კ), მ) და ო) პუნქტებით განსაზღვრულ პირებს, წინამდებარე ბრძანების მე-4 პუნქტში განსაზღვრული ვადით, ყოველთვიური სახელფასო დანამატი განესაზღვროთ 625 ლარით საბიუჯეტო ანარიცხების ჩათვლით.

6. წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშების მომზადება მოხდეს შემდეგი პერიოდულობით: პირველი ორი ანგარიში, 08 აგვისტოს ჩათვლით - 1 თვის პერიოდულობით, შემდგომი ანგარიშები - 2 კვირის პერიოდულობით.

7. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტს (ი. მახარაძე)

8. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

9. ბრძანებას თან ერთვის მედიამონიტორინგის ბიუჯეტის გაანგარიშება.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე ვ. აბაშიძე